ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ _____

ქალაქი ქუთაისი _____ _____ იანვარი _____ 2024 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის
თანხმობის მიცემის შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის „დ.ზ" ქვეპუნქტის, 121-ე მუხლის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 9 იანვრის №65 დადგენილების და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის --- იანვრის №---------- წერილობითი მომართვის შესაბამისად:

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ქალაქ ქუთაისში, ვარლამიშვილის ქუჩა №1ა-ს აღმოსავლეთით მდებარე ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების (საკადასტრო კოდი №03.03.22.327; ფართობი - 12.00 კვ.მ) გასხვისების თაობაზე.

მუხლი 2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე განახორციელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიამ.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი

განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული
ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების შესახებ
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ
განკარგულების პროექტთან დაკავშირებით

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით (N19/442306664-06; 07.03.2023წ.) მომართა მოქალაქე ლია ბუცხრიკიძემ, რომელიც ითხოვს სარგებლობაში გადაცემული უძრავი ქონების შეძენას.

გაცნობებთ, რომ მოქ. ლია ბუცხრიკიძეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების №17 ხელშეკრულებით (07.06.2016წ.) სარგებლობაში (იჯარა), კიბის უჯრედის მოსაწყობად, გადაეცა ქალაქ ქუთაისში, ვარლამიშვილის ქუჩა N1ა-ს აღმოსავლეთით მდებარე უძრავი ქონება (ს/კ №03.03.22.327; ფართობი 11,5 კვ.მ; გზის ნაწილი).

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 107-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის კუთვნილებას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შემდეგი ქონება: ადგილობრივი მნიშვნელობის გზები და მათი ნაწილები, ქუჩები, მიწისქვეშა და მიწისზედა გადასასვლელები, ტროტუარები, შუქნიშნები, გარე განათების კონსტრუქციები, მოედნები, სკვერები, ბულვარები, შადრევნები, პარკები, მწვანე ნარგავები და ნაპირსამაგრი ნაგებობები. ამავე კოდექსის თანახმად, მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების განკარგვა-გასხვისება დაუშვებელია, გარდა ამ კანონის 121-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, კერძოდ: მუნიციპალიტეტის ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისება შესაძლებელია მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ ქონებამ დაკარგა თავისი ფუნქციური დანიშნულება. ფაქტობრივად უძრავ ქონებას (რეგისტრირებულია - „გზის ნაწილის“ ფუნქციური დანიშნულებით) დაკარგული აქვს ფუნქციური დანიშნულება. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ზემოაღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, უფლებამოსილია, განიხილოს წარმოდგენილი პროექტი, ძირითადი (განუსხვისებელი) ქონების გასხვისების თაობაზე მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ. აღსანიშნავია, რომ №03.03.22.327 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული უძრავი ქონების განკარგვით შემოსული თანხა ჩაირიცხება ადგილობრივ ბიუჯეტში.

პროექტს საკრებულოს სხდომაზე წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი თინათინ ბერიშვილი.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი: იოსებ ხახალეიშვილი